განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
წევრ(ებ)ი: ნიკა უთალიშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406349303

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ისანი-სამგორი, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლება, IIმ/რ, კორპუსი 11ა
საფოსტო ინდექსი	0152
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.highschoolnino.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	highschoolnino@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	599 90 60 11

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 5 ივნისის ბრძანება MES 3 26 0000677668
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	10 ივნისი 2026 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის MES 3 26 0000677668 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს (შემდგომში - სკოლა) არაგეგმიური მონიტორინგი.

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, ცენტრში 2026 წლის 01 ივნისს №647451 წერილით წარდგენილ კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევა, შემოწმება და მათი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა გასაუბრება ჩაატარა სკოლის დირექციასთან, ფქსიქოლოგთან, მე-6 (გ) კლასის დამრიგებელთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და მე-6 (გ) კლასის მოსწავლის ს.გ-ის რწმუნებულთან. ამ უკანასკნელთან შედგა სატელეფონო გასაუბრება. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელდა ს.გ-ის პირადი საქმის, სკოლის ელ. ჟურნალის, eSchool ბაზის შესწავლა, ასევე სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა მე-3 სტანდარტის 3.3.1.3; 3.3.1.4; 3.3.2.1. 3.4.1.3; 3.4.1.4 და მე-4 სტანდარტის 4.1.1.1. და 4.1.1.2; 4.2.1.1; 4.2.1.3; 4.2.1.4 და 4.2.1.6 ინდიკატორებთან დაკავშირებით სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და განხორციელებული პროცესების ამსახველი მასალები.

ექსპერტთა ჯუფის მიერ მონიტორინგის შედეგები აისახა საბოლოო დასკვნაში. ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსო და დასკვნა დაიწერა ნარატიული სახით.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
700	600

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა მასში წარმოდგენილი განმარტებები, დამატებითი დოკუმენტაცია და შეფასებები. წარმოდგენილი არგუმენტების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ექსპერტთა დასკვნაში ასახული ფაქტობრივი გარემოებების განსხვავებულ ინტერპრეტაციას და არ შეიცავს ისეთ ახალ ფაქტობრივ ან სამართლებრივ გარემოებებს, რომლებიც ექსპერტთა დასკვნის არსებით გადახედვას ან შეცვლას განაპირობებდა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმარტებების მნიშვნელოვანი ნაწილი აღწერს განხორციელებულ ან დაგეგმილ ღონისძიებებს, თუმცა აღნიშნული გარემოებები არ ცვლის იმ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც ექსპერტთა მიერ დადგინდა მონიტორინგის პერიოდში და რომელიც საფუძვლად დაედო შესაბამის მიგნებებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება სკოლის მზადყოფნას მომსახურების გაუმჯობესებისა და შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით, თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ გახდება უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული შეფასებების შეცვლის საფუძველი.

წარმოგიდგენთ თითოეულ პუნქტთან მიმართებით ექსპერტთა პოზიციას:

1. დარღვევების სისტემური ხასიათის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის პოზიციას.

სკოლა მიუთითებს, რომ შემთხვევა იყო ერთჯერადი და არ ატარებდა სისტემურ ხასიათს. ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ დასკვნის პროექტში შეფასება არ ეფუძნება მხოლოდ ინციდენტის რაოდენობას და შეუსაბამობის საფუძველი არ ყოფილა ინციდენტის სისტემურობის შეფასება. შეფასების საგანი იყო ის, რამდენად იმუშავა სკოლის მიერ დადგენილმა უსაფრთხოების, წესრიგისა და მოსწავლის დაცვის მექანიზმებმა კონკრეტულ კრიზისულ ვითარებაში. მონიტორინგის ფარგლებში დადასტურდა, რომ გარეშე პირმა შეძლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საკლასო სივრცეში შესვლა და მოსწავლის მიმართ სიტყვიერი აგრესიის გამოხატვა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე, არამედ იმაზე, რომ მოქმედმა კონტროლის მექანიზმმა კრიტიკულ მომენტში ვერ უზრუნველყო მოსწავლის უსაფრთხო გარემოში ყოფნის უფლების ეფექტიანი დაცვა.
შესაბამისად, სკოლის არგუმენტი, რომ შემთხვევა არ იყო სისტემური, ვერ ცვლის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, რადგან ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვს არა მხოლოდ სისტემური ძალადობის არარსებობას, არამედ უსაფრთხოების მექანიზმების ქმედითობას კონკრეტულ შემთხვევაშიც.

2. მოსწავლის მიმართ განხორციელებული მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ იზიარებს სკოლის პოზიციას იმ ნაწილში, რომ სკოლას ჰქონდა გარკვეული მხარდაჭერის ღონისძიებები, თუმცა არ იზიარებს პოზიციას მათი საკმარისობის შესახებ.

დასკვნის პროექტშიც ასახულია, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური, ქცევითი და ემოციური გამოწვევების შესახებ; არსებობდა დამრიგებლის კომუნიკაცია ოჯახთან; ფსიქოლოგი ჩართული იყო კლასის ფორმატში; მოსწავლე მონაწილეობდა სასკოლო აქტივობებსა და ექსკურსიაში. თუმცა მონიტორინგის ფარგლებში ვერ დადასტურდა, რომ აღნიშნული მხარდაჭერა იყო ინდივიდუალურად დაგეგმილი, სისტემური და მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული. კერძოდ, ვერ დადასტურდა მოსწავლის ინდივიდუალური აკადემიური მხარდაჭერის გეგმის არსებობა ან პოსტკრიზისული ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის დოკუმენტირებული ღონისძიებები.
შესაბამისად, სკოლაში გარკვეული მხარდაჭერის არსებობა არ გამორიცხავს დასკვნის პროექტში ასახულ მიგნებას, რომ მხარდაჭერის ღონისძიებები კონკრეტულ შემთხვევაში არ იყო საკმარისად სისტემური და ეფექტიანი.

3. ე.წ. „კორიდორის თამაშის“ შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ ნაწილში იზიარებს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ე.წ. „კორიდორის თამაშის“ არსებობა მონიტორინგის ფარგლებში არ დადასტურდა.

დასკვნის პროექტშიც მკაფიოდ არის მითითებული, რომ მოსწავლეებთან, სკოლის წარმომადგენლებთან და წარმოდგენილ მასალებთან შეჯერებით სკოლაში სისტემური ძალადობრივი პრაქტიკის ან ე.წ. „კორიდორის თამაშის“ არსებობა ვერ დადასტურდა. თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ აბათილებს სხვა დადასტურებულ ფაქტებს, მათ შორის გარეშე პირის საკლასო სივრცეში შესვლას, მოსწავლეზე უარყოფით ემოციურ გავლენას და აკადემიური მხარდაჭერის არასაკმარის დოკუმენტირებულობას.
შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დასკვნის პროექტში უკვე შეფასებულია სკოლის სასარგებლოდ, თუმცა იგი არ ცვლის სხვა ინდიკატორებთან მიმართებით დადგენილ მიგნებებს.

4. ფაქტების ქრონოლოგიისა და „შიშის საფუძვლის“ შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის პოზიციას იმ ნაწილში, რომ დასკვნაში ფაქტები არასწორად ან არაობიექტურად არის შეფასებული.

დასკვნის პროექტში არ არის მითითებული, რომ მოსწავლის ყველა გაცდენა ან აკადემიური ჩამორჩენა მხოლოდ ოქტომბრის ინციდენტით იყო განპირობებული. პირიქით, დასკვნაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მოსწავლის გაცდენები და აკადემიური სირთულეები ინციდენტამდეც ფიქსირდებოდა. ამავდროულად, მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ კონკრეტულმა ინციდენტმა გავლენა მოახდინა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე და შექმნა უსაფრთხო სასკოლო გარემოში ყოფნის უფლების რეალიზების რისკი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არის დაბალანსებული: ერთი მხრივ, გათვალისწინებულია მოსწავლის მანამდელი სირთულეები, ხოლო მეორე მხრივ — დადასტურებული ინციდენტის გავლენა.

შესაბამისად, სკოლის არგუმენტი ფაქტების არასწორ შეფასებაზე ვერ იქნება გაზიარებული.

5. მტკიცებულებების მოპოვების წყაროსა და ვადების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის პოზიციას.

სკოლის მითითება, თითქოს ექსპერტთა ჯგუფს მტკიცებულებები ვიზიტამდე 10 დღით ადრე უნდა ჰქონოდა მოპოვებული ან შესწავლილი, არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს.
მონიტორინგის ვიზიტის ბრძანება გამოიცა 2026 წლის 5 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფს 8 ივნისს გადაეცა ტრეფიკინგის ცხელი ხაზის წერილი, ხოლო 9 ივნისს — სკოლის მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილი მასალების ასლი. ვიზიტი განხორციელდა 10 ივნისს.
შესაბამისად, ობიექტურად შეუძლებელი იყო ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტამდე 10 დღით ადრე ჰქონოდა სრულად შესწავლილი ის მტკიცებულებები, რომლებიც თავად ექსპერტებს მხოლოდ 8-9 ივნისს გადაეცათ.
გარდა ამისა, მონიტორინგის პროცესი გულისხმობს როგორც წინასწარ წარმოდგენილი მასალების, ასევე ვიზიტის დროს მიღებული დოკუმენტების, ინტერვიუების, განმარტებებისა და ადგილზე დათვალიერების შედეგების ერთობლივ შეფასებას. ამდენად, მტკიცებულებების ვიზიტის პროცესში მოპოვება არ წარმოადგენს პროცედურულ დარღვევას.

შესაბამისობის გეგმის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს შესაბამისობის გეგმის საფუძველზე დასკვნის არსებითი შეცვლის შესაძლებლობას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა შეიძლება შეფასდეს როგორც სამომავლოდ ხარვეზების აღმოფხვრისკენ მიმართული ნაბიჯი. თუმცა იგი ვერ აბათილებს უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, ინციდენტი უკვე მოხდა; გარეშე პირმა შეძლო საკლასო სივრცეში შესვლა; მოსწავლეზე უარყოფითი გავლენა დადასტურდა; ხოლო მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აკადემიური და ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის სისტემური განხორციელება ვერ დადასტურდა.
შესაბამისად, შესაბამისობის გეგმა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდგომი რეაგირების ან გაუმჯობესების კონტექსტში, თუმცა ვერ ცვლის მონიტორინგის მომენტისთვის დადგენილ შეუსაბამობას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას	სკოლამ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რამდენადაც დადასტურდა ფაქტი, რომელმაც ბავშვის საუკეთესო ინტერესზე რეალური გავლენა მოახდინა. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	სკოლამ ვერ უზრუნველყო პრაქტიკული ღონისძიების გატარება ბავშვის სასკოლო სივრცეში დასაბრუნებლად და მისი ემოციური რეაბილიტაციისთვის (იხ.ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი 4 1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	სკოლამ კონკრეტულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების და გარანტიების დაცვა
ინდიკატორი 4.2.1.3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აკადემიური მხარდაჭერის ღონისძიებების სისტემური განხორციელება.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	მიზანშეწონილია, სკოლამ გააძლიეროს მუშაობა საჩივრების სისტემების პრაქტიკული გამოყენების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით, რათა უზრუნველყოს მშობელთა სრული ინფორმირებულობა და თავიდან აცილონ კონფლიქტების თვითნებური გადაჭრის მცდელობები სასკოლო სივრცეში.
ინდიკატორი 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს საკომუნიკაციო არხების უფრო ეფექტიანი გამოყენება პრევენციული მიზნებისთვის, მოახდინოს

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროაქტიკული ამოქმედება და გააძლიეროს მშობელთა შორის მედიაციის ფუნქცია.
ინდიკატორი 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	მიზანშეწონილია ვიზიტორთა დაშვების კონტროლისა და უსაფრთხოების პროცედურების გაძლიერება კრიზისული შემთხვევების პრევენციის მიზნით.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4. 1.1.2.	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან	მიზანშეწონილია, მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების მიმართულებით, მშოელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლმა აწარმოოს ეფექტური ღონისძიებების გატარება.
ინდიკატორი 4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	მიზანშეწონილია, სკოლამ ადაპტაციის წესის შესაბამისად მუდმივად უზრუნველყოს გამოვლენილი დეზადაპტაციის ნიშნების დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავება და მშობლისთვის მიწიდება.

არაგეგმიური მონიტორინგის პროცესის აღწერა და ექსპერტთა მიგნებები

პროცესის აღწერა

არაგეგმიური მინიტორინგის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ცენტრში 2026 წლის 01 ივნისის წერილით №647451 წარდგენილი კორესპონდენცია, რომელიც ეხება უცხო ენების უმაღლესი სკოლა - ,,ნინო''-ს მოსწავლე - ს.გ-ს შემთხვევას. როგორც კორესპონდენციაშია ასახული, არასრულწლოვანმა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თბილისის საქალაქო ცენტრის ბავშვზე ზრუნვის და დაცვის განყოფილების, ბავშვთა დახმარების ცხელ ხაზსს (,,111'') მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია. ,,სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში თანაკლასელმა საწერი კალმით დაჩხვლიტა, რის შედეგადაც ბავშვს აღენიშნებოდა ნაწიბურები. აღნიშნული ფაქტის შესახებ მან ინფორმაცია მიაწოდა კლასის დამრიგებელს თუმცა, მისი

თქმით, დამრიგებელმა აღნიშნული ფაქტი „მეგობრულ ხუმრობად“ შეაფასა და შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. ბავშვმა ასევე ისაუბრა შემთხვევაზე, რომელიც ეხებოდა მისი თანაკლასელის - მ.რ. მშობელს და მის თანმხლებ პირს. მისი თქმით, აღნიშნული პირები სკოლის ადმინისტრაციის თანდასწრებით შევიდნენ საკლასო ოთახში და ბავშვების თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ფორმით მიმართავდნენ არასრულწლოვანს, მათ შორის ახსენებდნენ „ყურების დაჭრას“. აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ბავშვი შიშის გამო სკოლიდან დამოუკიდებლად გამოსვლას ვერ ახერხებდა და ბებიას სთხოვა დახმარება. არასრულწლოვნის ბებიის განმარტებით, აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ბავშვს დაეწყო შიშები, რის გამოც არასრუწლოვანს დასჭირდა ფსიქო-თერაპიული მომსახურების მიღება. ბავშვის განმარტებით, სკოლის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო მშობლების კლასში შესვლას და არასრულწლოვანთან დაპირისპირებას. წერილში ასევე ნათქვამია, რომ თბილისის საქალაქო ცენტრის სოციალური მუშაკისთვის ცნობილი ხდება 2026 წლის აპრილის თვეში მომხდარი ფაქტი შესახებ, როდესაც არასრულწლოვანი პარალელური კლასის მოსწავლეების მხრიდან გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ბავშვის განმარტებით, სკოლაში გავრცელებულია ე.წ. „თამაში“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უწევთ სხვა ბავშვების მიერ შექმნილ „კორიდორში“ გავლა რა დროსაც ჯგუფის წევრები მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ ხელებისა და ფეხების დარტყმით.

ს. გ-ის თქმით, აღნიშნული შემთხვევა პირველი არ ყოფილა და მსგავსი ქმედებები სკოლაში პერიოდულად ხორციელდება. ბებიამ მომხდარის შესახებ ინფორმაცია მიიღო კლასის საერთო მიმოწერიდან, სადაც ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნული ფაქტი დააფიქსირა. ბავშვის ბებიის განცხადებით, აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმირებული იყო კლასის დამრიგებელიც, თუმცა რეაგირება ამ შემთხვევაზეც არ განხორციელებულა“.

აღწერილი გარემოებების შესწავლის, შემოწმების და მათი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლაში განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის MES 3 26 0000677668 ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა:

- მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა და პროცესები
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები
- მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები და პროცესები
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების და პროცესები
- ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მეანიზმები და პროცესები
- მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა რეგულაციები და პროცესები
- სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეობა და სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი და პროცესები

- აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმები და პროცესები
- მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურები გაუმჯობესების მექანიზმების ქმედითობა.

მოკვლევის შედეგები და ექსპერტთა მიგნებები

ექსპერტთა მიგნებები ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს და პროცესებს:

- ს.გ-ის კლასის დამრიგებლის მოხსენებითი და სამსახურეობრივი ბარათები
- სკოლის ფქსიქოლოგის მოხსენებითი ბარათი და ანგარიში
- ს.გ-ის მასწავლებლების სამსახურებრივი ბარათები
- დაცვის თანამშრომლის ახსნა-განმარტებითი ბარათი
- 6 (3)კლასის ინგლისურის მასწავლებლის მოხსენებითი ბარათები
- ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურეობრივი ბარათები
- სკოლის დირექტორის ბრძანებები -შესაძლო დისციპლინურ გადაცდომაზე მოკვლევის ჩატარების და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ.
- მოსწავლეების ახსნა-განმარტებითი ბარათები
- სკოლის წერილი -სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თბილისის საქალაქო ცენტრის ბავშვზე ზრუნვის და დაცვის განყოფილებას.
- კლასისი საათის ანგარიში (დამრიგებელი)
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის დებულება
- სკოლის სტრუქტურა
- ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმი
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი
- თვითმართველობის დებულება
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- რემედიაციის პროგრამა
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- 6(3) კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა და სადამრიგებლო პროგრამა.
- უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები
- გასაუბრება: სკოლის ადმინისტრაცია, ფსიქოლოგი, 6(3) კლასის დამრიგებელი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.
- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით
- ს.გ-ის პირადი საქმე
- სკოლის ელ. ჟურნალი

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოიკვთა შემდეგი მიგნებები:

მიგნება N1 — მოსწავლის მხარდაჭერის სისტემა

დადგენილი გარემოება:

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური, ქცევითი და ემოციური გამოწვევების შესახებ. დამრიგებლის პორტფოლიოში ასახულია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინასთან დაკავშირებით მშობელთან განხორციელებული კომუნიკაცია. ფსიქოლოგისა და დამრიგებლის განმარტებით, მოსწავლესთან და კლასთან ხორციელდებოდა შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები.

შეფასება:

დადასტურდა, რომ სკოლა ახორციელებდა მოსწავლის მხარდაჭერის ღონისძიებებს და თანამშრომლობდა ოჯახთან. **თუმცა საჭიროა მეტი სისტემური მიდგომა და ეფექტური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება მოსწავლის აკადემიური მოსწრების და დისციპლინის გასაუმჯობესებლად.**

მიგნება N2 —საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები და პროცესები

დადგენილი გარემოება:

მიუხედავად იმისა, რომ სხვა მოსწავლის (მ.რ.) მშობლის აგრესიულ ქმედებასა და სკოლაში მივარდნას წინ უძღვოდა ს. გ-ის მხრიდან მათი შვილის სიტყვიერი შეურაცხყოფა და ბილწსიტყვაობა, მშობლის რეაქცია და სკოლის სივრცეში თვითნებური შეჭრა სამართლებრივად ვერ იქნება გამართლებული. **სკოლის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რადგან კონფლიქტის მართვა სამართლებრივი ჩარჩოდან გადავიდა ემოციურ დაპირისპირებაში უშუალოდ საკლასო ოთახში, ბავშვების თანდასწრებით.**

შეფასება:

სკოლამ **ვერ უზრუნველყო** საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

მიგნება N3 — უსაფრთხოების ინციდენტზე რეაგირება

დადგენილი გარემოება:

2025 წლის ოქტომბერში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი საკლასო სივრცეში შევიდა, სკოლამ დაიწყო ფაქტის მოკვლევა, მოიპოვა შესაბამისი ახსნა-განმარტებები და დაცვის თანამშრომლის მიმართ გამოიყენა დისციპლინური ღონისძიება. ადმინისტრაციის განმარტებით, დაცვის თანამშრომელმა მშობელი იცნო და შეცდომით დაუშვა სასწავლო სივრცეში.

შეფასება:

სკოლამ ინციდენტზე რეაგირება მოახდინა, თუმცა **მიზანშეწონილია ვიზიტორთა დაშვების კონტროლის მექანიზმებისა და უსაფრთხოების პროცედურების შემდგომი გაძლიერება.**

მიგნება N4 — სასკოლო გარემო

დადგენილი გარემოება:

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეები და წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათები არ ადასტურებენ სკოლაში ე.წ. „კორიდორის თამაშის“ ან სხვა სისტემური ძალადობრივი პრაქტიკის არსებობას და სასკოლო გარემოს აფასებენ როგორც მშვიდ და პოზიტიურს. დადასტურდა მხოლოდ ცალკეული კონფლიქტური და არასასურველი ინციდენტი.

შეფასება:

მონიტორინგის ფარგლებში ვერ დადასტურდა სკოლაში ბულინგის ან ძალადობის სისტემური პრაქტიკის არსებობა.

დასკვნა

ვიზიტის ფარგლებში გაანალიზდა საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. შესწავლის შედეგად განისაზღვრა მათი შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან.

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.3.1.3 სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

საქმის მასალების, კერძოდ, სკოლის შინაგანაწესის, დებულების, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი და გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზით დგინდება, რომ შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოში“ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა სამართლებრივ დონეზე **არსებობს და მოქმედებს**. სკოლის დირექციის მიერ ინციდენტებზე რეაგირების მიზნით გამოიცემა ბრძანებები დისციპლინური მოკვლევის დაწყების შესახებ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებებში (ბრძანებებში) მკაფიოდ არის გაწერილი მიღებული სახდელების გასაჩივრების წესი, ვადები და ადგილი (თბილისის საქალაქო სასამართლო). ამასთანავე, აღნიშნული სისტემის არსებობის მიუხედავად, საქმეში არსებული კონკრეტული შემთხვევების შესწავლისას (კერძოდ, მშობლის თვითნებური შემოჭრა საგაკვეთილო პროცესში კონფლიქტის გასარკვევად) იკვეთება, რომ სკოლამ უნდა გააძლიეროს მუშაობა ამ სისტემის პრაქტიკული ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით, რათა უზრუნველყოს მშობელთა სრული ინფორმირებულობა და თავიდან აცილონ კონფლიქტების თვითნებური გადაჭრის მცდელობები სასკოლო სივრცეში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

3.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.3.1.4 .სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

საქმის მასალების ანალიზითა და მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში სამართლებრივ დონეზე არსებობს და მოქმედებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც ეფუძნება სკოლის შინაგანაწესსა და კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებს. სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლობს მოსწავლის ინტერესების დამცველებთან. კერძოდ, მოსწავლე ს. გ-ს პირად საქმეში დაცულია დედის მიერ გაცემული ოფიციალური მინდობილობა (დათარიღებული 2026 წლის 11 მაისით), რომლის საფუძველზეც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად აყვანილია რწმუნებული —ადვოკატი. პოზიტიურად უნდა შეფასდეს სკოლის ადმინისტრაციის ქმედება იმ ნაწილში, რომ მონიტორინგის პროცესში მათ თავად უზრუნველყვეს ექსპერტთა ჯგუფის სატელეფონო დაკავშირება აღნიშნულ ადვოკატთან სიტუაციის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით. ადვოკატთან შემდგარი კომუნიკაციით დადასტურდა, რომ ის აქტიურად თანამშრომლობს სკოლასთან, აქვს ხშირი კომუნიკაცია დამრიგებელთან და მიიჩნევს, რომ სკოლა ცდილობს პროცესების მართვას (მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის საკითხი ოჯახის მხრიდან არ განიხილება), თუმცა მიუთითებს, რომ სკოლას ,,არ ყოფნის კომპეტენცია“ გაუმკლავდეს აღნიშულ გამოწვევებს. სკოლამ ასვევ, დაიცვა ბებიის კანონიერი უფლება, როცა გამოითხოვა ნებართვა ს. გ-ს კლასთან ექსპერტთა შეხვედრის და გასაუბრებისთვის, ბებიის უარის გამო მე-6 (3) კლასთან გასაუბრება არ შედგა. მიუხედავად ამისა, მომხდარი ინციდენტი, გარეშე პირმა უნებართვოდ შეაღწია საკლასო ოთახში და სიტყვიერი აგრესია გამოიწვია მოსწავლის მიმართ, სკოლამ ვერ დაიცვა არამარტო მოსწავლის არამედ პერსონალის უფლება, ემუშავათ უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლაში სამართლებრივად და დოკუმენტურად არსებობს, თუმცა ადმინისტრაციის მხრიდან საჭიროა კომპეტენციის ამაღლება, რათა მართვის პროცესი იყოს თანმიმდევრული და კონტროლირებადი.

3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

3.3.2.1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

საქმის მასალების შესწავლით დგინდება, რომ შპს უცხო ენების უმაღლეს სკოლა ნინოში ფორმალურ და ინსტიტუციურ დონეზე არსებობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის, უკუკავშირის მიღებისა და მართვის პროცესებში მათი აზრის გათვალისწინების მექანიზმები. სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები იყენებენ როგორც ოფიციალურ, ისე სწრაფი კომუნიკაციის ალტერნატიულ ციფრულ არხებს.

მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთა, რომ სკოლას აქვს შიდა კვლევებისა და ინსტიტუციური უკუკავშირის სისტემა: სკოლის მიერ წარმოდგენილია „კითხვარი მშობლებისთვის“ და „თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი“ (2025-2026 სასწავლო წელი). დოკუმენტებით დასტურდება, რომ ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას Google Forms-ის დახმარებით. გამოკითხვის ანალიზში მკაფიოდ ჩანს მენეჯმენტის ორიენტაცია უსაფრთხო გარემოს შეფასებაზე (კერძოდ, მშობელთა კითხვარის მე-7, მე-8 და მე-11 პუნქტები), ხოლო პერსონალის 100% აცხადებს, რომ აქვს შესაძლებლობა თავისუფლად დააფიქსიროს საკუთარი ინიციატივები.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს კლასის დონეზე არსებული ციფრული საკომუნიკაციო არხები, კერძოდ კლასის საერთო „მესინჯერჯგუფი“, სადაც ჩართულია ყველა მშობელი. აღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფს საზღვარგარეთ მყოფი კანონიერი წარმომადგენლის (ს.გ დედის) და ადგილზე მყოფი ოჯახის წევრის ბებიის მყისიერ ინფორმირებულობასა და ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლა ახდენს რეაგირებას სწრაფი საკომუნიკაციო არხებით მიღებულ ინფორმაციაზე. მაგალითად, აღნიშნული „მესინჯერჯგუფის“ საშუალებით მშობელთა მხრიდან წამოიჭრა საკითხი მოსწავლეთა მიერ ე.წ. „დერეფნის თამაშების“ თაობაზე, რაც სკოლამ შეისწავლა და პრაქტიკული გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა. ასევე, ადმინისტრაციამ თავად დააკავშირა ექსპერტთა ჯგუფი ბავშვის ადვოკატთან (რწმუნებულთან). ადვოკატმა დაადასტურა, რომ მას და დამრიგებელს შორის არსებობს ხშირი კომუნიკაცია.

მიუხედავად იმისა, რომ „მესინჯერჯგუფი“ კარგად ასრულებს სწრაფი ინფორმირების ფუნქციას, მასში დაუზუსტებელი ინფორმაციის (მაგ. „დერეფნის თამაშების“) გავრცელება აჩვენებს, რომ საჭიროა სკოლამ ამ მიმართულებით გააძლიეროს მშობლებთან პრევენციული მუშაობა, რათა თავიდან აიცილონ ზედმეტი მღელვარება ან არასწორი აღქმები, რამაც ასევე გამოიწვია მოსწავლის(ბ.გ) აღელვება, როცა მას მოუხდა თავის მართლება და მართწესრიგის ოფიცერთან გასაუბრება (დანართი 1.1.2.4-მოსწავლის ახსნა-განმარტება). ასევე

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსწავლის (მ.რ.) მშობელმა ვერ შეძლო სკოლის მეშვეობით ს.გ ოჯახთან ცივილური დაკავშირება, რის გამოც თვითნებურად შემოიჭრა კლასში.(დამრიგებლის მოხსენება)
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლაში სამართლებრივად, ინსტიტუციურად და ალტერნატიული ციფრული არხების (კლასის მესინჯერჯგუფი) დონეზე არსებობს და ფუნქციონირებს. სკოლა ახდენს რეაგირებას ყოველდღიურ ინფორმაციულ ნაკადებზე (მაგ. დერეფნის თამაშების გადამოწმება), თუმცა სასურველია სკოლამ უზრუნველყოს საკომუნიკაციო არხების უფრო ეფექტიანი გამოყენება პრევენციული მიზნებისთვის, მოახდინოს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროაქტიული ამოქმედება და გააძლიეროს მშობელთა შორის მედიაციის ფუნქცია.
3.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.4.1.3 სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული და უფლებამოსილ ორგანოთან შეთანხმებული აქვს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია დაცვის თანამშრომლის პოზიცია, რომლის ფუქციაა, უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლის კონტროლი და სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება. მიუხედავად აღნიშნულისა, 2025 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც გარეშე პირმა შეძლო სასკოლო სივრცეში, მათ შორის საკლასო ოთახში შესვლა, რამაც გამოიწვია სასწავლო პროცესში ჩარევა და მოსწავლეზე უარყოფითი გავლენის მოხდენა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული უსაფრთხოების მექანიზმები არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტიანი საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სრულყოფილად უზრუნველსაყოფად. სკოლამ ინციდენტის გამოვლენის შემდგომ განახორციელა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის დაიწყო ფაქტის მოკვლევა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გამოიყენა სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური ღონისძიება, თუმცა მიზანშეწონილია ვიზიტორთა დაშვების კონტროლისა და უსაფრთხოების პროცედურების გაძლიერება მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ ვერ უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რამდენადაც დადასტურდა ფაქტი, რომელმაც ბავშვის საუკეთესო ინტერესზე რეალური გავლენა მოახდინა.
3.4..1.3 ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

3.4.1.4 სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის, ჩატარებული ინტერვიუებისა და მოსწავლეებთან გამართული შეხვედრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდამჭერი მექანიზმები, მათ შორის ფსიქოლოგიური მომსახურება, მედიაციის წესი და კონფლიქტების პრევენციის ღონისძიებები. ფსიქოლოგისა და დამრიგებლის განმარტებით, სკოლა ფლობდა ინფორმაციას მოსწავლის ემოციური და ქცევითი გამოწვევების შესახებ და ახორციელებდა შესაბამის მხარდაჭერის ღონისძიებებს. მე-6 (3) კლასის დამრიგებლის პორტფოლიოთი და დამრიგებლის ანგარიშიდან ჩანს, რომ მუშაობის ძირითადი მიმართულებებია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის გაძლიერება. კლასის საათი მოიცავს შემდეგ თემებს: უსაფრთხოება, ბულინგის პრევენცია, კონფლიქტების მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, გარემოს დაცვა, პასუხისმგებლობა, მეგობრობა, ტოლერანტობა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად სასკოლო გარემო შეფასდა როგორც მშვიდი და პოზიტიური, რაც ასევე დასტურდება მშობელთა გამოკითხვის მასალებით. თუმცა სკოლაში გამოვლინდა ერთეული შემთხვევა, როდესაც უსაფრთხოების მექანიზმის ხარვეზის შედეგად გარეშე პირმა შეძლო საკლასო სივრცეში შეჭრა და მოსწავლისთვის ფსიქო-ემოციური სტრესის მიყენება. ს.გ-ს რწმუნებულთან ინტერვიუთი ირვევა, რომ მოსწავლე განიცდის (მ.რ) მამის სკოლაში ვიზიტებთან დაკავშირებულ შფოთვას, თუმცა აღნიშული პიროვნება ბავშვს არ ემუქრება, გააცნობიერა თავის შეცდომა და სკოლას ბოდიშიც მოუხადა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სკოლამ ვერ უზრუნველყო პრაქტიკული ღონისძიების გატარება ბავშვის სასკოლო სივრცეში დასაბრუნებლად და მისი ემოციური რეაბილიტაციისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე,

3.4.1.4 ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს„უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შეთანხმების წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2022 წლის 14 ივნისის N 4220000642210
- მე-6 (3) კლასის დამრიგებლის პორტფოლიო
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის დებულება
- დამრიგებლის ანგარიში კლასის საათის ჩატარების შესახებ

- შპს ,,უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს'' დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის N 3/203 ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი“
- სკოლის შინაგანაწესი
- 2025 წლის 24 ოქტომბრის დირექტორის ბრძანება N3/142 -დაცვის თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ
- 2026 წლის 11 მაისი ბრძანება N3/28 შესაძლო დისციპლინური გადაცდომის მოკვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით
- ინგლისურის მასწავლებლის მოხსენებით ბარათი
- სამსახურეობრივი ბარათი -ადმინისტრაციული მენეჯერი
- სამსახურეობრივი ბარათი -სკოლის დირექტორის მოადგილე
- დაცვის თანამშრომლის ახსნა-განმარტებითი ბარათი
- ფქსიქოლოგის ანგარიში
- შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმი
- კმაყოფილების კვლევის მასალები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4 1.1.1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები, მათ შორის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის, კონფლიქტების მართვის, ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და დისციპლინური რეაგირების პროცედურები. მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებდა მოსწავლის მხარდაჭერის ღონისძიებებს და ფლობდა ინფორმაციას მისი ქცევითი და ემოციური გამოწვევების შესახებ. ამასთან, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც გარეშე პირმა შეძლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საკლასო სივრცეში შესვლა. აღნიშნულმა ფაქტმა გავლენა მოახდინა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე და შექმნა მოსწავლის უსაფრთხო გარემოში ყოფნის უფლების რეალიზების რისკი. ს.გ-ს რწმუნებულთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ მოსწავლის ხშირი გაცდენები დაკავშირებულია 2025 წლის ოქტომბერში მომხდარი ფაქტის კვლავ განმეორების შიშსა და „კორიდორის თამაშში“ არ მონაწილეობის სურვილთან (სკოლაში აღნიშული თამაშების არსებობა არ დასტურდება). საგაკვეთილო პროცესზე არ დასწრება კი თავის მხრივ იწვევს აკადემიურ ჩამორჩენას. თუმცა მოსწავლის პირადი საქმის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ გაცდენები და აკადემიური ჩამორჩენა მხოლოდ აღნიშნული ინციდენტით არ იყო განპირობებული, ვინაიდან მსგავსი გარემოებები ინციდენტამდე პერიოდშიც ფიქსირდებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები. თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში ვერ განხორციელდა მისი სრულყოფილი აღსრულება, რაც უკავშირდება უსაფრთხო გარემოში სასწავლო პროცესის განხორციელებას.

ინდიკატორი 4 1.1.1. არ არის დაკმაყოფილებული

4. 1.1.2 . მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ მოსწავლის უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, რამდენადაც სკოლას დოკუმენტაცია განთავსებული აქვს სკოლის ვებგვერდზე. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან გამართულმა გასაუბრებამ აჩვენა, რომ მოსწავლეებმა იციან, თუ სად არის გაწერილი მათი უფლებებისა და მოვალეობების წესები და ზოგად დონეზე იცნობენ სკოლის შინაგანაწესს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ატარებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს დოკუმენტების გაცნობის მიზნით. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები და შიდა რეგულაციების გაცნობა მშობლებისთვის. თუმცა, კონკრეტულმა შემთხვევამ აჩვენა, რომ რეგულაციების გამჭვირვალობისა და საზოგადოების მხრიდან მათი გათავისების ხარისხი პრაქტიკაში არასაკმარისია, რაც შემდეგ გარემოებებში გამოიხატა, დაზარალებული მოსწავლის (მ.ზ.-ს) მშობლის ქცევა – სამართლებრივი ჩარჩოს გვერდის ავლით, თვითნებურად შეჭრა საკლასო ოთახში და არასრულწლოვნის მიმართ მუქარა – პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის შიდა წესები, მოსწავლის უფლებების ხელშეუხებლობა და კონფლიქტების მართვის ლეგალური გზები ამ მშობლებისთვის არ იყო გააზრებული და გაზიარებული. ასევე უნდა ითქვას, რომ საწყის ეტაპზე სკოლამ ვერ

უზრუნველყო ბავშვის ფაქტობრივი მომვლელისთვის (ბებიისთვის) ეფექტურად მიეწოდებინა ინფორმაცია იმ უფლებრივი და ფსიქო-სოციალური გარანტიების შესახებ, რასაც სკოლა სთავაზობდა მოსწავლეს, რამაც გამოიწვია ოჯახის მხრიდან უნდობლობა, თუმცა საქმეში ახალი მეურვის (ადვოკატის) ჩართვის შემდეგ, სკოლამ უზრუნველყო, მიმდინარე სასწავლო პროცესისა და დაგეგმილი ინტერვენციების შესახებ ინფორმაციის მყისიერი და ღიად გაზიარება მეურვესთან, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას, გახადოს პროცესები უფრო გამჭვირვალე. ვინაიდან რეგულაციები საზოგადოების ნაწილისთვის (მოსწავლეებისთვის) ცნობილია, თუმცა კრიზისულმა სიტუაციამ აჩვენა მშობელთა მხრიდან ამ წესების უგულებელყოფა, მიზანშეწონილია სკოლამ ჩაატაროს საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სადაც ნათლად აუხსნის მათ, რომ სკოლის სივრცეში ბავშვებს შორის კონფლიქტის გარჩევის უფლება მშობელს არ აქვს და ნებისმიერი პრეტენზია მხოლოდ ადმინისტრაციის გავლით უნდა წყდებოდეს.

ინდიკატორი 4. 1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- დამრიგებლის დებულება
- შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა “ნინოს” მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი
- სკოლის ვებ/გვერდი

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.1.1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, სადაც აღწერილია წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნები, ასევე დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები. კერძოდ, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა აკადემიური, ქცევითი და სოციალური გამოწვევების იდენტიფიცირებასა და შესაბამის მხარდაჭერას დამრიგებლის, ფსიქოლოგისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდა, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური, ქცევითი და ემოციური გამოწვევების შესახებ. დამრიგებელი სისტემატურად ურთიერთობდა მოსწავლის დედასთან, ხოლო ფსიქოლოგი ჩართული იყო კლასთან მუშაობის პროცესში. ასევე, სკოლა ხელს უწყობდა მოსწავლის სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობას. მიუხედავად აკადემიური და ქცევითი გამოწვევებისა, მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა მოსწავლისა და ცალკეული პედაგოგების პოზიტიური ურთიერთობის მაგალითები, რაც მიუთითებს მოსწავლის სასკოლო გარემოში ინტეგრაციისა და მხარდაჭერის რესურსების არსებობაზე. მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად მოსწავლის აკადემიური, ქცევითი და ემოციური გამოწვევებისა, იგი ჩართული იყო სასკოლო აქტივობებში. მათ შორის, მონაწილეობა მიიღო სასკოლო ექსკურსიაში, სადაც მას თან ახლდა ბებია. აღნიშნული გარემოება მიუთითებს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისა და სკოლასთან კავშირის შენარჩუნებაზე. ოჯახის პოზიციით (ადვოკატთან ინტერვიუ) სკოლა ცდილობს მოსწავლის მხარდაჭერას, თუმცა მისი შეფასებით საჭირო იყო დამატებითი პროფესიული რესურსების გამოყენება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები, რომელსაც გარკვეულწილად იყენებს (ფსიქოლოგის ჩართულობა, დამრიგებლი, იდენტიფიცირებული პრობლემა, მშობელთან კომუნიკაცია, სასკოლო აქტივობებში ჩართულობა) თუმცა მნიშვნელოვანია, ადაპტაციის წესის შესაბამისად მუდმივად უზრუნველყოს, გამოვლენილია დეზადაპტაციის ნიშნების დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავება და მშობლისთვის მიწოდება.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

4.2.1.3 მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მიღწევების მხარდამჭერი მექანიზმები კერძოდ, რემედიაციის დებულება, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის შინსწავლების განხორციელების რეგულაციებს, დაწყებით საფეხურზე გახანგრძლივებული სწავლების განხორციელების ნორმებს და პირობებს, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სემესტრული გამოცდის ჩატარების წესებს. აღნიშული რეგულაციების გაცნობას უზრუნველყოფს დაამრიგებელი სასწავლო წლის

დაწყებისას როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური სირთულეებისა და ხშირი გაცდენების შესახებ და აღნიშნულ საკითხებზე კომუნიკაციას ახორციელებდა მოსწავლის ოჯახთან. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აკადემიური მხარდაჭერის ღონისძიებების სისტემური განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა, მონიტორინგის ფარგლებში ვერ დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებით გამოყენება. მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრებისა და ხშირი გაცდენებისა, ცალკეული პედაგოგების (ჩვენი საქართველო -მოხსენებითი ბარათი) შეფასებით იგი ინტერესს ავლენს კონკრეტული საგნების მიმართ და ერთვება სასწავლო პროცესში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს მოსწავლის საგანმანათლებლო პოტენციალის არსებობაზე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა ამ პოტენციალის განვითარების მიზნით ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აკადემიური მხარდაჭერის სისტემური განხორციელება.

ინდიკატორი 4.2.1.3. არ არის დაკმაყოფილებული

4.2.1.4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით თანამშრომლობდა მოსწავლის მშობელთან, ბებიასთანა და შემდგომში დანიშნულ კანონიერ წარმომადგენელთან. სკოლა ახორციელებდა ინფორმაციის გაცვლას და რეაგირებდა მოსწავლის ქცევით, აკადემიურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ადმინისტრაციულ ურთიერთობებში თანამშრომლობდა მოსწავლის წარმომადგენლებთან და მათი უფლებების განხორციელებას ხელს არ უშლიდა.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

4.2.1.6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლა იღებს და განიხილავს მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და უკუკავშირს. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსწავლის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას სკოლამ მოახდინა ფაქტების მოკვლევა, განახორციელა შესაბამისი ადმინისტრაციული რეაგირება და მიიღო ზომები გამოვლენილი ხარვეზის მიმართ. ასევე დადგინდა, რომ სკოლა თანამშრომლობდა მოსწავლის წარმომადგენლებთან და

უზრუნველყოფდა მათთან კომუნიკაციას. მონიტორინგის ფარგლებში არ გამოვლენილა გარემოებები, რომლებიც მიუთითებს მოსწავლეთა ან სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის უგულებელყოფაზე.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- რემედიაციის პროგრამა
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა-კონცეპტუალური ნაწილი
- 2025-2026 წლის დაწყებით საფეხურის კურიკულუმი
- ფქსიქოლოგის ანგარიში
- დამრიგებლის მოხსენებით ბარათი
- მასწავლებლების მოხსენებით ბარათები

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

თარიღი : 9 ივლისი 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Maka Tukvadze 01019028119

Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2026.07.09 08:21:59

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: